

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია



უსახური და უკანონო ნაგებობების დემონტაჟის

სამუშაოების შესყიდვის

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2015



ს ა რ ჩ ე ვ ი

1. <u>ტექნიკური დოკუმენტაცია</u>	3
2. <u>დანართი N1, მონაცემები პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ</u>	7
3. <u>დანართი N2, ფასების ცხრილი</u>	8

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.



1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	
1	ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	50
2	ლითონის ჯიხურების დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	10
3	ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	50
4	ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი	ცალი	10
5	ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი	ცალი	5
6	მარტივი ტიპის ღობეების დემონტაჟი	გრძ. მ	2 000
17	რკინა-ბეტონის ნაგებობების დემონტაჟი	მ ³	1 500
8	სამშენებლო ნარჩენების გატანა	ტონა	2 400
9	ლითონის ბოძების დემონტაჟი	ცალი	600

1.2. ტექნიკური პირობები

1.2.1. სამუშაოების დახასიათება:

- **ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი (დაჭრა)** - ლითონის ავტოფარეხების დაჭრა აირმჭრელი აპარატურით;
- **ლითონის ჯიხურების დემონტაჟი (დაჭრა)** - ლითონის ჯიხურების დაჭრა აირმჭრელი აპარატურით;
- **ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი (დაჭრა)** - ტალავერებისა და სხვა მცირე ზომის კონსტრუქციების დაჭრა აირმჭრელი აპარატურით;
- **ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი** - ლითონის ავტოფარეხების დემონტაჟი ავტომანქანის საშუალებით, მოძრავ ბაქანზე მოთავსება და ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე;
- **ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი** - ლითონის ჯიხურებისა და სხვა მცირე ზომის კონსტრუქციების დემონტაჟი ავტომანქანის საშუალებით, მოძრავ ბაქანზე მოთავსება და ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე;
- **მარტივი ტიპის ღობეების დემონტაჟი** - ლითონის ღობეების დემონტაჟი;
- **რკინა-ბეტონის ნაგებობების დემონტაჟი** - კაპიტალური ავტოფარეხების, ბაქნების, აივნების, ლითონის კონსტრუქციების, ბეტონის ფუძეებისა და სხვა ბეტონის ნაგებობების დემონტაჟი პნევმატური სატეხი ჩაქურით;
- **სამშენებლო ნარჩენების გატანა** - ნარჩენების დატვირთვა ავტომანქანებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე;
- **ლითონის ბოძების დემონტაჟი** - კორპუსებზე სარეცხის საშრობი ბოძების, ტროსების და სხვადასხვა ტიპის სამაგრების დაჭრა აირმჭრელი აპარატურით.



1.2. 2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობადანაღარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
- სამუშაოს შესრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს.

1.2.3. პრეტენდენტმა სამუშაოები უნდა განახორციელოს მინიმუმ 3 ბრიგადით, თითოეული 5 კაცის შემადგენლობით.

1.3. ინფორმაცია პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ:

ა) პრეტენდენტს საკუთრებაში ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული (იჯარა, თხოვება და ა.შ) ფორმით უნდა გააჩნდეს მინიმუმ:

- 1 (ერთი) ერთეული ექსკავატორი;
- 1 (ერთი) ერთეული კომპრესორი ან/და პნევმატური სანგრევი ჩაქუჩი;
- 2 (ორი) ერთეული თვითმცლელი;
- 1 (ერთი) ერთეული ავტომწე;
- 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ბაქანი;
- 3 (სამი) ერთეული აირმჭრელი აპარატურა;

ბ) საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სხვა შემთხვევაში – შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საიჯარო, თხოვების ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, რომელიც ერთი თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას), გარდა კომპრესორისა, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩისა და აირმჭრელი აპარატურისა.

გ) მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს **დანართი N1-ის** შესაბამისად.

1.4. ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი N2-ის** შესაბამისად;

ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;



გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

დ) თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მემსაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც.

1.5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.5.1. ანგარიშსწორების პირობა:

- ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
- ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.5.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით;
- ბ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- გ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

1.5.3. სამუშაოს შესრულების ვადა და პირობა:

- ა) სამუშაოები უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმში, ეტაპობრივად შემსყიდველის დავალების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 დეკემბრამდე;
- ბ) თითოეული კონკრეტული სამუშაოს ეტაპობრივად შესრულების ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია.

1.6. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

- ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 1.5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.



1.7. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

1.8. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი;
- ტექნიკური პირობები;
- ინფორმაცია პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.9. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge; საკონტაქტო პირი: იამზე ზოსიძე, ტელეფონი: (0422) 27 26 18.



2. დანართი №1

მონაცემები პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ

N	დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრების ფორმა
1					
2					
3					
4					
5					
...					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.



3. დანართი N2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადადების ფასი _____

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
		ცალი			
1	ლითონის ავტოფარეხების დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	50		
2	ლითონის ჯიხურების დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	10		
3	ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი (დაჭრა)	ცალი	50		
4	ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი	ცალი	10		
5	ლითონის სხვა მცირე ზომის კონსტრუქციის დემონტაჟი	ცალი	5		



6	მარტივი ტიპის ღობეების დემონტაჟი	გრძ. მ	2 000		
7	რკინა-ბეტონის ნაგებობების დემონტაჟი	მ ³	1 500		
8	სამშენებლო ნარჩენების გატანა	ტონა	2 400		
9	ლითონის ბოძების დემონტაჟი	ცალი	600		
სულ ჯამი					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.